

პარასკევი, 5 დეკემბერი, 1897 წ.

პარასკევი, 5 დეკემბერი, 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

მან. კ.	თვე	მან. კ.
10—	6 . . .	6 —
9 50	5 . . .	5 50
8 75	4 . . .	4 75
8 —	3 . . .	3 50
7 25	2 . . .	2 75
6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაურ.

# ივერია

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტფლისში.  
**გაზეთის დასახარებად**  
და განცხადებად დასაქვად  
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.  
გამოცემს, საზოგადოების კანცელარიას  
**ფასი განცხადებისა:**  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ  
16 კაპ., მეოთხედზედ—8 კაპ.

"ივერიის" ტელეფონი № 227

"ივერიის" ტელეფონი № 227

## "ივერია"

—გამოვა 1898 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინაა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფლისში,  
"ივერიის" რედაქციაში  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ქართულთა შორის წერა-კითხვის გამოცემა, საზოგადოების "კანცელარია" სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРΙΑ“.

### სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 8 დეკემბერს, 1897 წ.  
კნენა ნ. დ. ჩოლოყაშვილის მეთაურობით სცენის მოყვარეთა მიერ ქართული თეატრის სასარგებლოდ გამართული იქმნება წარმოდგენა ცოცხალი სურათებით.  
წარმოდგენილი იქმნება

### მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა: მე—44 დრაგუნის ნაიკგაროდის ჯარის კარნეტი თავადი მხეიძე—მე 54 დრაგუნის ნაიკგაროდის ჯარში.  
დათხოვნილ იქმნა: თავისისავე თხოვნათ, მაღაჩაის ზრნაშვილი თავადი ფაქულაშვილი.

## ბაიყუზი

## ახალი ამბავი

### ბიძიასთან გამოხსენება

კომ. 1 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.  
მონაწილეობას მიიღებენ: კნენა ს. მ. წერეთლისა, კნაიჭენი ე. მ. წერეთელი, ს. ზ. ანდრონიკაშვილი, თავადნი დ. ე. ჩოლოყაშვილი, ა. რ. ვახვახიშვილი, ნ. მ. ჯორჯაძე, გ. დ. ქურული, ა. დ. თუმანიშვილი.

გუშინ, 4 დეკემბერს, ქალაქის გამგეობამ წარუდგინა კავკასიის ოლქის მზრუნველს მოხსენება ტფლისში პოლიტექნიკუმის დაარსების შესახებ. ამასთანავე ქალაქის გამგეობა სთხოვს მსს მზრუნველს ამ საქმეში თანაგრძობასა და დახმარებას.

ქალაქის გამგეობა 15 დეკემბრიდან არსებს ვარანცოვის ქუჩაზედ პირველს ღამის გასათევს თავშესაფარს.

ოთხშაბათს, 3 დეკემბერს, მუხრანთან ქუჩაში, საეკლესიო სახლში, გარდაიცვალა ივანე ბგეთა-ბგეთაძე, რომელიც ორი დღე იტანჯებოდა მორეულ ცოფისაგან. განსვენებული ორმოცის დღის წინააღმდეგინა სახლში ძალღმად. მთელი ორი დღე ჰყოფოდა და ღრიალებდა საცობად, მთელის უბნის მცხოვრებლები იწვოდნენ იმის საცობადობის ყურებით, მაგრამ მშველელი და დამხმარებელი-კი არავინ აღმოჩნდა. ნათესავებიც ერიდებოდნენ. უბედურს დღეზედ დაბადებულმა და სტოვა ულუკმა-პუროდ ცოლი და წვრილი შვილები.

დღეს, საღამოს 7 1/2 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება აქვს. ამ კრებებზედ სხვათა შორის ბ-ნი მ. ს. კახისი წაიკითხავს თავის მოხსენებას: "პირველი რუსული ჩაი ა. ა. სოლოვკვისა."

დღეს, საღამოს 7 1/2 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება აქვს. ამ კრებებზედ სხვათა შორის ბ-ნი მ. ს. კახისი წაიკითხავს თავის მოხსენებას: "პირველი რუსული ჩაი ა. ა. სოლოვკვისა."

დღეს, საღამოს 7 1/2 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება აქვს. ამ კრებებზედ სხვათა შორის ბ-ნი მ. ს. კახისი წაიკითხავს თავის მოხსენებას: "პირველი რუსული ჩაი ა. ა. სოლოვკვისა."

დღეს, საღამოს 7 1/2 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება აქვს. ამ კრებებზედ სხვათა შორის ბ-ნი მ. ს. კახისი წაიკითხავს თავის მოხსენებას: "პირველი რუსული ჩაი ა. ა. სოლოვკვისა."

დღეს, საღამოს 7 1/2 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება აქვს. ამ კრებებზედ სხვათა შორის ბ-ნი მ. ს. კახისი წაიკითხავს თავის მოხსენებას: "პირველი რუსული ჩაი ა. ა. სოლოვკვისა."

გუბერნატორს და სთხოვა, ნება მიეცით ქალაქს 300,000 მანათი ისე-სხოს ქალაქის ლომბარდისა და სხვა საჭიროებისათვისაო.

წმ. ეკატერინეს სახელობაზედ აგებულ ბერძენთა ეკლესიის მრევლი მეტად დალონებულია თურმე იმ ამბით, რომ ამ ეკლესიის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკიფორე ათინაში გადააყვით. ბერძენთა სინაის მონასტრის მინდობილებით მამა ნიკიფორე 1888 წლიდან განაგებს ამ მონასტრის მამულებს ტფლისისა და გორის მაზრაში. აქაურს ბერძენებს ძლიერ უყვართ მამა ნიკიფორე, ვითარცა კეთილი მწყემსი და მკვირ-მეტყველი მქადაგებელი და ამიტომ ძლიერ ემძიმებათ მისი მოშორება.

ქალაქის გამგეობას აქამდე განზრახვა ჰქონდა შეეკეთებინა ციციანოვის აღმართი. ესლა კი ქალაქის გამგეობამ სრულიად მოულოდნელად გაანება თავი ამ საქმეს, რადგანაც მცოდნე კაცებმა მოახსენეს, ამ აღმართის გაკეთებას 18,000 მანათი უნდაო და ქალაქ-კი ესლა ამდენი ფული არა აქვს.

მომავალ წლის შემოსავლის სავარაუდო აღრიცხვიდან სჩანს, რომ ქალაქს ამ წელს უნდა შემოსავალი ექმნეს: ქალაქის მამულების დაფასებიდან—306,341 მან., საჯარო გარდასახადი—102,418 მან., კერძო კაცთა ცხენებსა და ეტლებზე გარდასახადი—27,626 მ., სხვადა-სხვა გარდასახადი—27,626 მან., ქალაქის მამულებიდან და სხვადა-სხვა ბეგარა—116,825 მ., წყლის მილიდან—245,000 მ., საყასბოდგან—50,000 მ., ვერის ხილისა—11,200 მ., მნაცკანოვის ხილი—6,400 მ. და სხვ. სულ მომავალ წელს სავარაუდო აღრიცხვით ქალაქს შემოსავალი უნდა ჰქონდეს 1,138,711 მან.

გაზ. "ახ. მიმ." განჯიდგან დეკემბრით ატყობინებენ, რომ ჯევან-შირის მაზრის უფროსად ნამყოფი რაფიბეგოვი, რომელიც სამართალშია მიცემული, უკვე დააბრუნებულ იქმნაო.

ოთხშაბათს, 3 დეკემბერს, ტფლისის საკომერციო ბანკის საბჭოს გადაუდგია 500 მან. ვადმოსახლებულ სომეხთა სასარგებლოდ. საბჭოს ეს ფული უკვე გაუგზავნია ტფლისის გუბერნატორისათვის.

სწორედ უცნაური წესები ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ! ტფლისის გაზეთებს, მაგალითად, მცხეთაში მხოლოდ მეორე დღეს იღებენ, მაშინ როდესაც მცხეთამდე სულ 1/3 საათის გზაა. ტფილისიდან ბათუმში ერთი სახალხო მატარებელი დილის 9 საათსა და 15 წუთს გადის, მაგრამ რკინის გზის გამგეობა ამ მატარებლით არა ჰგზავ

ნის, არამედ საღამოს მატარებლით, რომელიც მცხეთაში რვა საათზედ არის ხოლმე; კიდევ კარგი, ამავე დღეს რომ არიგებდნენ გაზეთებს.

ქვალის" უქანასკნელს ნომერში საყურადღებო სტატისტიკური ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რუსეთის უმაღლესს სასწავლებელში რამდენი ქართველი სწავლობს, რა წოდებისანი არიან, რომელი საშუალო სასწავლებელი დაუშთაფრებიოთ და სხვანი. ეს სტატისტიკური ცნობები დაბეჭდილია დღევანდელს ჩვენს გაზეთში მეოთხე გვერდზედ.

პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიის წერა-კითხვის სასწავლებელთან განზრახვა აქვთ წიგნთ-საცავი დააარსონ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ჯეროვანად თვალ-ყური იქმნას დაჭერილი ამიერ-კავკასიის რკინის გზასა და გზის ყოველგვარ შენობებზედაო.

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ ფრიად საყურადღებო ცნობები მიიღო იმის შესახებ, თუ წელს ქუთაისის გუბერნიიდან რამდენი ნედლი ქისი პარკი გაუზიდნიათ. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ქ. ქუთაისიდან—3,850 ფუთი პარკი გაუტანიათ—750 ფუთი ნუნის მაზრაში და 3,100 საზღვარ-გარეთ; დაბა ხონიდან—საზღვარ გარეთ 4,950 ფუთი, ხოლო ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან—საზღვარ-გარეთ და რუსეთში 2,370 ფუთზედ მეტი. სულ ქუთაისის გუბერნიიდან 11,200 ფუთი აბრეშუმის პარკი გაუტანიათ; ფუთი 11 მანეთი ღირს, ამ რიგად სულ—123,200 მანეთისა.

გაზ. "კავკას" ატყობინებენ, რომ მდ. ყვირილაზედ აჯამეთის ხიდის გაკეთების საქმე კარგად მიდის. მალე ასეთივე ხიდის შენებას სვირის საღურთაანაც შეუდგებიან. ხილი 1898 წლის პირველ მაისისთვის იქმნება მზად.

სოფ. ქვემო-თეჯლათი, (სენაკის მაზრა). 21 ნოემბერს აქ ერთი სამეურნეო ამბავი მოხდა. ამავე სოფლის მცხოვრებმა პ. გ. ჩავა მოჰკლა თავისი მეზობელი ქ. გ. ჩავა. საქმე ასე იყო: ამათ მამები წინა დღით რალაც საქმეზედ წალაპარაკებულან და ხელით ერთმანეთისათვის შეურაცხება მიუყენებიათ. ამის შემდეგ არ გაუვლია ერთს კვირას, რომ ქ. ჩავა ტყეში ენახათ ტყეის კრილო-ბისაგან სისხლში ამოთხუნული და სიკვდილის ებრძოდა თურმე, საწყალი ქ. გ. ჩავა ისეთი ახალგაზდა კარგი ყმაწვილი კაცი იყო, რომ მთელს საზოგადოებაში ბადალი არა ჰყავდა. პ. გ. ჩავა შეპყრობილია და გამოძიება სწარმოებენ...

ხანგრძლივის წვიმებისა და ავღრების შემდეგ ეს ათი დღეა, რაც გვარიანი ამინდები დადგა, მაგრამ ტიპი ადამიანისათვის ღონიერი ქარი ზუსტუნებს და თავს არ გვანებებს. ხალხი ზამთრისათვის ჯერ მოუშობდელოა, რადგანაც უღრავოდ დაგვიზამთრდა...

სოფ. კეა, (სენაკის მაზრა). ნოემბრის 11 სოფ. ეკში თავი მოიკლა ერთმა აქაურმა მცხოვრებმა—ტ. გ. არავინ არ იცის ნამდვილად, რამ აძულა საბრალო, რომ ასე გაიწი-რა თავი.

წელს ჩვენსკენ გვარიანი მოხაველი იყო კირანხულისა, მხოლოდ ვაზმა გვილატა. ღვინო ერთობ ნაკლებ მოგვივიდა; სიმინდის იმედი გვექონდა, ფსი მოემეტება წელსაო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მომატება ვინ ეძებს, ნეტა რაც მაზანდა იყო, ის ყოფილიყო. ფუთი სიმინდი იყიდება 25—30 კაპ ამა ამით როგორ გაუძღვეს ხალხი სხვა და-სხვა გარდასახადს?...

სოფ. ჰრაუტი, (ტფლისის მაზრა). 10 ნოემბერს ჩვენ სოფელში გიორგობას ვლდესასწავლობთ ხოლმე. წელს ჩვეულებრივ ამ დღეს აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი მახლობელ სოფლებიდან ღამის სათვალ და საქმიფოდ, აქვე იყვნენ ბოქაულის მიერ გამოგზავნილი ჩაფრები წესიერების დასაცველად და, სხვათა შორის, რამდენიმე კაცი ორ-ლულისანის თოფით შეიარაღებული. რომელიღაც ჩაფარი ღვინით შეხურებულიყო და აუტყდა ერთს ორ-ლულისანის თოფით შეიარაღებულს, გინდა თუ არა, თოფი უნდა მომცეო. პატრონმა თოფი არ დაანება, ჩაფარმა სხვა ამხანაგებზე მოიყვანა და უწყალოდ დაუწყეს ცემა საბრალოს. გალახულს მოეშველნენ სხვები და გაჩაღდა ცემა-ტყევა. ხალხი როგორც იყო დაშოშინდა, ზოგს თავი ჰქონდა გატეხილი, ზოგს ხელები დაღეწილი და ვინ იცის კიდევ ზოგს რა. ამ ზაფხულსაც სცემეს წესიერების დამცველთ ერთს უბედურს დედაკაცს.

ქაზაყი: საიმერატორო სამეურნეო საზოგადოების ბიუროს დახმარებით ქიზიყის დეპოს გამგეობამ გაუგზავნა პეტრებურგისა და მოსკოვის მეფობრივეებს თამბაქოს ნიმუშები. უეჭველია, მალე ფასებს მოიწერებიან მეფობრივენი და ამისათვის ძალიან კარგი იქნება, რომ არ აუწი-ქარდნენ ქიზიყელები თამბაქოს გაყიდვას იმ ადგილობრივ ვაჭრებზედ, რომელნიც ჩვეულონი არიან ოქრო ვერცხლის ფასად იყიდონ და ვერცხლი—თუჯისა. ქიზიყის დეპოს გამგეობა თავ-გამოდებით სცდილობს და საქმე სწარმოებს კიდევ, რომ საზოგადო მატყლისა, თამბაქოს და სულადის საწყობი დაარსდეს, რათა მწარმოებლებმა და მომხმარებლებმა





# დეკემბა

(რუსეთის დეკემბა საფენტოსაგან).

3 დეკემბერი

პარიზი. იმ საპარლამენტო კომისიის შეიქმნა წევრმა, რომელსაც პანამის საქმის გამოძიება აქვს მინდობილი, თანამდებობას თავი დაანება, რადგანაც კომისიამ უარი სთქვა საყვედური განაცხადოს იმის გამო, რომ ჟურნალ-გაზეთებში ზოგიერთის საბუთის ქაღალდების შინაარსი იყო გამოქვეყნებული.

სასჯულო სასწავლებელში მომხდარი მანიფესტაციის შემდეგ 300 სტუდენტი სენ-ჟაკის ქუჩაში წავიდა, სადა პოლიციამ გაჰყვანა; შემდეგ სტუდენტები შერყობის საწინააღმდეგო ხმაურით წყლის პირის ქუჩით თანხმობის მოედანზე წავიდნენ, სადა პოლიციამ ხელახლად გაჰყვანა.

ქალაქი. საზღვარზე დიდი ბრძოლა მოხდა: უკანა რაზმს, რომელსაც გენერალი ესტეპკოვს უფროსობდა, ადგილობრივი მცხოვრებნი დაეცნენ. ინგლისელების მხრივ მოკვდა და დაიჭრა 4 აფიცერი და 40 ჯარისკაცი.

რომი. დი-რუდინის მოლაპარაკება საპოლიტიკო მოღვაწეებთან საუკეთესოდ დაგვირგინდა. ახალი სამინისტრო უკანასკნელად შესდგა შემდეგის კაცებისაგან: დირუდინი — პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვისკონტი ვენოსტა — გარე-საქმეთა მინისტრი, ბრინი — ზღვათა მინისტრი, ბრანკა — ფინანსთა მინისტრი, ლუდვატი — ხაზინათა მინისტრი, ლი-სამ-მარკანო — სამხედრო მინისტრი, გალოო — საერო განათლების მინისტრი, პავონჩელი — საზოგადო საქმეთა მინისტრი, კოკო-ორტუ — მეურნეობის მინისტრი, სინგო — ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი.

4 დეკემბერი

ბათინო. 3 დეკემბერს დაბრუნდა კავასიდიგან ხელმწიფე იმპერატორის მარიათ თეოდორეს ასული დიდის მთავრინათი ოლგა ალექსანდრეს ასულითურთ. გატინოს სადგურზედ ხელმწიფე იმპერატორის დასტავდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდნი მთავარნი მიხეილ ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე უავგუსტის ტოვისის მეუღლითურთ.

კონსტანტინოპოლი. საბერძნეთში მიჰმართა ოსმალეთს და სთხოვა ერთის თვის ვადით გადასდეთ დამტკიცება ზავის პირობისა. დიპლომატთა შორის ამ ამბავმა დიდი გაოცება გამოიწვია. ამ თხოვნას განიხილავს კრება ელჩებისა, რომელთაც იმ თხოვნის ასრულება შეუძლებლად მიჩნიათ და თვით თხოვნა უსაბუთოდ.

პილი. აქ მოზრძანდა იმპერატორი, რათა პრინცს ჰენრიხს აამოემშვიდობოს.

კონსტანტინოპოლი. ზღვათა მინისტრს მოლაპარაკება აქვს გერმანიისა და საფრანგეთის ბანკების პატრონებთან შესახებ იმისა, რომ 600,000 გირვანქა ისესოს გემების გამოკეთებელ ამხანაგობის „მასუსის“ კადასაკეთებლად.

## სტატისტიკური ცნობები რუსეთის უმაღლესს სასწავლებელში მყოფ ქართველ მოსწავლეთა შესახებ 1897 წლის წლის

რომელ ფაკულტეტზე, ან რომელ სპეციალურ სასწავლო არიან?	ს ა დ ა ბ ა დ ე ნ ე										სად და რომელ საშუალო სასწავლებელში დაამთავრეს სწავლა.		სტუდენტებისა, რომლებმაც მიიღეს დიპლომი, ან სპეციალური დიპლომი.		1896 წ.
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	სტუდენტებისა, რომლებმაც მიიღეს დიპლომი, ან სპეციალური დიპლომი.	სტუდენტებისა, რომლებმაც მიიღეს დიპლომი, ან სპეციალური დიპლომი.	სტუდენტებისა, რომლებმაც მიიღეს დიპლომი, ან სპეციალური დიპლომი.	სტუდენტებისა, რომლებმაც მიიღეს დიპლომი, ან სპეციალური დიპლომი.	
ქალაქები.	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	1	2	1	2	1896 წ.
1) პეტერბურგი.	2	4	3	2	1	1	1	1	1	1	6	2	6	2	1896 წ.
2) მოსკოვი.	2	3	5	15	16	—	—	—	—	—	6	—	6	—	1896 წ.
3) კიევი.	1	—	2	5	3	—	—	—	—	—	1	—	1	—	1896 წ.
4) ხარკოვი.	—	2	1	20	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	1896 წ.
5) ოდესა.	2	1	8	9	—	—	—	—	—	—	1	3	1	3	1896 წ.
6) იურ. (დორპატ.)	1	1	—	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1896 წ.
7) უზანი.	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1896 წ.
8) ტომსკი.	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1896 წ.
9) ვარშავა.	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	1896 წ.
ჯამი.	8	11	19	62	56	2	4	4	5	2	1	1	121	16	1896 წ.

„იერიდეთ არ მოსტყუდეთ!“  
**გ. ფ. იურგენსისა**  
 აქრობს კორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მკამე-ლასა და მეტეპებს, აგრეთვე სპობს ოფლს, ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპრინი იხმარონ.  
 ✦ აქროს მედალი 1895 წ. ✦  
**ფასი თითო ნაჭარისა 50 კაპ., 1/2 ნაჭარი 30 კაპ.**  
 იყიდება ყველა საუკეთესო სა-აფთიაქო მაღაზიებსა და აფთია-ქებში.  
 პირველი საწყობი მთელის რუსე-თისათვის გ. ფ. იურგენსის მოსკოვ-ში აქვს, დეკა ტფილისში აღმურფ-თან, კავკასიაში საფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, კურინოვ-თან, გრივანთან, ძმ. პოპოვებთან და არისტოკრატთან. (24—მ.—4)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში  
**ყვავილთა შორის**  
 მოთხრობა მოხუცის მეგობრისა, სურათებით გაძლიერებული სალამე შუბათელისმიერ ფასი 45 კაპ.  
 და  
 სამბაკია  
 ყხოველთა სამეფოსი  
 შედგენილი ნ. რუბაინის მიერ სურათებით თარგმანი გრ. ეიფშიძისა ფასი 50 კაპ.  
 (5—უ.—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების“  
**წიგნის მაღაზიაში**  
 იყიდება შემდეგი წიგნები:  
 საქართველოს ისტორიისა და მწერ-ლობის შესახებ. შან. კაპ.  
 ქართლის ცხოვრება I წი-გნი გამოცემა ზ. ჭიჭი-ნაძისა . . . . . 40  
 ლექსები ანტონ ფურცე-ლაძისა ფასი . . . . . 40  
 ვეფხვის ტყაოსანი სურა-თებიანი მშენიერის ყლით 10 „  
 ნ. ნიკოლაძის ნაწერები . . . . . 30  
 კეთილი ძალღი . . . . . 20  
 თხზულ. მამია გურიელისა ქრონიკები თ. ჟორდანიასი ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონისი . . . . . 1 50  
 ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია აკაკი წერეთელი. გიო-რაფია . . . . . 15  
 ამირან-დარეჯანიანი . . . . . 1 „  
 ჩვენს ახალი მწერლობა სალარაძისა . . . . . 40  
 ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზისი . . . . . 60  
 გედები საყმაწვილო წიგნი პარტაზი მოთ. ნინოშვი-ლისა . . . . . 20  
 ორი ეტიუდი . . . . . 20  
 როგორა ცხოვრობდნ ალამიანები ძველად . . . . . 25  
 სახალხო ლექსები და ლე-გენდები . . . . . 20  
 საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . 1 „  
 საქართველოს ისტორია მ. ბროსისი . . . . . 70  
 მეფე გიორგი ბრწყი ვალე, ურზნელისა . . . . . 20

1) საერთო რიცხვი არ მოიღება უწარმადეებში, რადგან ერთ და იმავე დროს იურადიულ ფაქ. ირიტსკა და თან კონსერვატ. სწავლობს.  
 2) ამ რიცხვში 3 ფარმაცეუტი.  
 3) ხმადილი რიცხვი არ კიდიათ. როგორც გვგებო, დაახლოებით რიცხვი ეს არის. ბუკეთით კერძ შეეიტყო რა, რადგან ნაწინაბი სტუდ. არ გამოკვდა ტოლსკო.  
 4) ცნობები არა გუბეს. როგორც კიდიათ, შარშან წინა იყო ქართუ. სტუდ. კანონი.